„trivo”-ს გამოყენების წესები და პირობები

გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ “trivo”-ს ვებ-გვერდისა და სერვისების გამოყენების წესებსა და პირობებს.

„trivo”-ს გამოყენების წინამდებარე წესები და პირობები (შემდგომში - „წესები და პირობები“) წარმოადგენს სამართლებრივად მბოჭავ შეთანხმებას და არეგულირებს ურთიერთობას შპს “_____”-სა ს/ნ _____ (შემდგომში „კომპანია“) და “trivo”-ს მომხმარებლებს (შემდგომში - „მომხმარებელი“) შორის.

“trovo”-ს ვებ-გვერდზე, მობილურ ან სხვა აპლიკაციებში შესვლისთანავე მომხმარებელი ავტომატურად ეთანხმება წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ პირობებს, ხდება ამ წესებითა და პირობებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის მხარე და მასზე სრულად ვრცელდება ამავე წესებითა და პირობებით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ მომხამარებელი არ ეთანხმება წესებსა და პირობებს ის ვერ ისარგებლებს „trivo“-ს სერვისებით.

1. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე წესებსა და პირობებში მოხსენიებულ სიტყვებსა და გამოთქმებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

1.1. **“ვებ-გვერდი”** - კომპანიის კუთვნილი ვებ-გვერდი (link მიეთითება), მობილური ან სხვა აპლიკაციები, რომლის მეშვეობითაც ხდება მომხმარებლისა და კომპანიის დაკავშირება.

1.2. **„კომპანია“** - საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული იურიდიული პირი შპს _____ (ს/კ _____), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ვებ-გვერდის მესაკუთრეს.

1.3. **„მომხმარებელი“** - ფიზიკური პირი ან/და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული იურიდიული ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც არის ვებ-გვერდის ვიზიტორი ან/და რეგისტრირებულია ვებ-გვერდზე, ეთანხმება „წესებსა და პირობებს“ იყენებს „trivo”-ს ნებისმიერ სერვისს;

1.4. **“trivo”**- უნიკალური პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესს ეხმარება შეაფასოს საკუთარი საგადასახადო რისკები, განსაზღვროს საგადასახადო ორგანოს მიერ შემოწმების ალბათობა და მოსალოდნელი სანქციის ზომა. ასევე, ექსპერტული რეკომენდაციები გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით.

1.5. **„მესამე პირი“** – ნებისმიერი პირი გარდა „კომპანიისა“ და „მომხმარებლისა.

1.6. **„სუბიექტი“/“ობიექტი“** -

1.7. **„სერვისი“** - კომპანიის მიერ პროგრამული უზრუნევლყოფის მეშვეობით შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურება, მათ შორის და არამხოლოდ, „მომხამარებლის“ მიერ არჩეული სასურველი პარამეტრების გათვალისწინებით (საანგარიშო პერიოდი და გადასახადის ტიპი) „trivo“-ს უნიკალური ალგორითმის გამოყენებით შექმნილი რეპორტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მომხმარებლის ძირითადი საგადასახადო რისკების, რისკების წყაროსა და რეკომენდაციებს თუ როგორ შეიძლება ხარვეზების სრულად აღმოფხვრა ან შემცირება.

1.8. **„პაკეტი“ –**

1.9. **“რეპორტი“**-

1.10. **„RS”/”RS ანგარიში“-** შემოსავლების სამსახური.

2. “trivo”-ს სერვისები

2.1. წინამდებარე წესებსა და პირობებში აღწერილია „trivo“-ს სერვისები და მათი სარგებლობის პირობები;

2.2. მომხმარებლის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის სანაცვლოდ და არჩეული სასურველი პარამეტრების გათვალისწინებით, „trivo” უნიკალური ალგორითმის მეშვეობით მომხარებელს აწოდებს სერვისს, კერძოდ, აგენერირებს რეპორტს, რომელშიც გადასახადების სახეების მიხედვით მოცემულია “მომხმარებლის” ძირითადი საგადასახადო რისკები, მითითებულია აღნიშნული რისკების წყარო და რეკომენდაციები თუ როგორ შეიძლება ხარვეზების სრულად აღმოფხვრა ან შემცირება. გარდა ამისა, რეპორტში მოცემულია პოტენციური საჯარიმო სანქციების სახეები და მოცულობები, რაც შეიძლება მომხმარებელს დაერიცხოს საგადასახადო ორგანოს მიერ მომხმარებლის (სუბიექტის) შემოწმების შემთხვევაში.

შენიშვნა: ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით ზუსტდება, რომ მომხმარებლისთვის ცნობილია და გონივრული განსჯის შედეგად გააზრებული აქვს, რომ „trirvo”-ს სერვისები გენერირებულია ხელოვნური

ინტელექტის მიერ, ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება ზოგჯერ შეიძლება იყოს არაზუსტი და არაგონივრული, შესაბამისად პასუხები, რომლის გენერირებასაც „trivo"აკეთებს, არის მხოლოდ დამხმარე და არ ანაცვლებს დარგის პროფესიონალ მრჩეველებს/კონსულტანტებს.

2.3. „trivo"-ს სერვისის მიღების მიზნით მომხმარებელი წინამდებარე წესებისა და პირობების გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და დაცვით:

2.3.1. ვებ-გვერდზე ირჩევს პაკეტს მისთვის სასურველი პარამეტრების გათვალისწინებით (საანგარიშო პერიოდი ან გადასახდის ტიპი);

2.3.2. შეჰყავს ვებ-გვერდზე მოთხოვნილი მონაცემები, მათ შორის და არა მხოლოდ პერსონალური მონაცემები (სახელი-გვარი; ელ-ფოსტა; ტელ. და სხვ.);

2.3.3. მისთვის სასურველი პაკეტის გასააქტიურებლად აგზავნის მოთხოვნას;

2.3.4. მონაცემთა სრულად და ზუსტად შევსებისა და მოთხოვნის გაგზავნის შედეგად გენერირდება „მომსახურების საფასური";

2.3.5. იხდის „მომსახურების საფასურს" მე-6 მუხლით დადაგენილი წესით;

2.3.6. „მომსახურების სასაფასურის" გადახდის დადასტურებისთანავე აქტიურდება ანგარიში, რომლის პარამეტრებიც (მონაცემებიც) გაზიარდება მომხმარებლის მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე;

შენიშვნა: ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით ზუსტდება, რომ მომხმარებელს მის მიერ არჩეული ერთი პაკეტისა და გააქტიურებული ანგარიშის ფარგლებში შეუძლია ერთჯერადი სერვისი მიიღოს მხოლოდ ერთ სუბიექტზე, რაც იმას გულისხმობს, რომ მომხმარებელს ერთ შესამოწმებელ სუბიექტზე „trivo" დაუგენერირებს მხოლოდ ერთ რეპორტს და ყოველი შემდეგი მომსახურების მისაღებად მომხმარებელმა თავიდან უნდა იყიდოს პაკეტი.

2.3.7. „trivo"-ს აძლევს წვდომას შესამოწმებელი ობიექტის RS-ის ანგარიშზე, კერძოდ, სისტემაში შეჰყავს მისი (მომხმარებლის) სასურველი შემოწმების ობიექტის RS მომხმარებელი და პაროლი, RS-დან მიღებული ვერიფიკაციის კოდი შეჰყავს სისტემაში, გადის ვერიფიკაციას და შედეგად „trivo"-ს აძლევს წვდომას შემოწმების ობიექტის RS ანგარიშზე, საიდანაც სისტემა იღებს კონკრეტულ ინფორმაციებს, რათა ალგორითმის მუშაობის შედეგად გამოთვლილ იქნას შესამოწმებელი ობიექტის საგადასახადო შეუსაბამობის რისკები;

2.4. წინამდებარე წესებისა და პირობების „2.3." პუნქტით აღწერილი პროცესის და ალგორითმის დასრულების შემდგომ, მომხმარებელს უგენერირდება მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე (გაზიარებული მონაცემები და RS ანგარიში) დაფუძნებული რეპორტი, რომელიც მოიცავს გადასახდების ჭრილში თუ რამდენად დიდი საგადასახადო შეუსაბამობის რისკი გააჩნია სუბიექტს, რა არის რისკ(ებ)ის გამომწვევი ცდომილებები და რჩევები ამ ცდომილებების გამოსწორებისთვის.

3. "trivo"-ს სერვისისა და ვებ-გვერდის გამოყენების პირობები

3.1. მომხმარებელს ენიჭება სერვისების გამოყენების არაექსკლუზიური უფლება წინამდებარე წესებისა და პირობებისა და ყველა სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. ნებიმისმიერი მომხმარებელი, რომელიც რეგისტრირდება ვებ-გვერდზე ვალდებულია კომპანიას მიაწოდოს სწორი და სრულყოფილი მონაცემები, რომლებიც აუცილებელია სერვისის სრულად და ჯეროვნად მიწოდებისთვის.

3.3. ვებ-გვერდზე წვდომა და მისი გამოყენება შეუძლიათ 18 წელს მიღწეულ სრულ ქმედუნარიან იმ პირს, მომხმარებელი იძლევა გარანტიას, რომ წარმოადგენს და აკმაყოფილებს წინამდებარე პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.

3.4. მომხმარებელს **<u>არ აქვს</u>** უფლება:

3.4.1. „trivo"-ს სერვისები და მიღებული მომსახურება გამოიყენოს იმ სახით, რაც დააზიანებს ან დაარღვევს კომპანიის ან/და მესამე პირთა უფლებებს;

3.4.2. „trivo"-ს მიაწოდოს არასწორი, მცდარი, არასრული ან/და გაყალბებული ინფორმაცია ან/და წვდომა RS-ის ანგარიშზე, რომელიც არ არის თავად მომხმარებლის ან მასთან აფილირებული პირის RS ანგარიში;

3.4.3. მიღებული სერვისის გამოიყენოს რაიმე სახის პროდუქტის ან მომსახურების შემადგენელ ნაწილად, მესამე პირის სასარგებლოდ ან სხვა კომერციული მიზნებისთვის, ან გადასცეს მესამე პირს;

3.4.4. „trivo"-ს სერვისებით მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტი (მათ შორის და არა მხოლოდ რეპორტი) რაიმე სახით გამოიყენოს კონკურენტი მოდელის შესაქმნელად;

3.4.5. გამოიყენოს „trivo”-ს სახელი ან შეფუთოს ის სხვა სახელით (შეცვალოს სახელი მთლიანად ან მისი ცალკეული დეტალები) ან/და გამოიყენოს „trivo“-ს სასაქონლო ნიშანი, ლოგო ან/და სხვ. კომპანიის წერილობითი თანხმობის გარეშე;

3.4.6. გამოიყენოს ავტომატური ან პროგრამული მეთოდები „trivo”-ს მონაცემების მისაღებად, მათ შორის „scraping“, „web harvesting“ ან web data extraction;

3.4.7. შეცდომაში შეიყვანოს/მოატყუოს სისტმა, მათ შორის და არა მხოლოდ, მოატყუოს სისტემა თითქოს სერვისის მიმღები არის ადამიანი, მაშინ როცა ეს ასე არ არის.

3.4.8. თავი გაასაღოს სხვა მომხმარებლად ან არ გამოიყენოს სხვა მომხმარებლის პირად მონაცემები და ანგარიში;

3.4.9. განახორციელოს ისეთი ქმედება ან/და ჩარევა, რომელიც საფრთხეს უქმნის ან უკავშირდედბა „trivo”-ს უსაფრთხოებას ან/და კონფიდენციალური/კომერციული საიდუმლოს გაუმჟღავნებლობას;

3.4.10. „trivo”-ს გაუზიაროს 18 წლამდე ასაკის პირის ნებისმიერი პერსონალური ან ციფრული ინფორმაცია;

3.4.11. გადააკეთოს, დაანაწევროს, დაშალოს, მოდიფიკაცია გააკეთოს ან შეცვალოს სრულად ან ნაწილობრივ ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მიღებაც „tirvo”-ს სერვისებთან არის დაკავშირებული ან მათი მეშვეობით ხორციელდება/განხორციელდება. აღნიშნული ემსახურება კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რათა არ განხორციელდეს “trivo”-ს ვებ-გვერდზე არაუფლებამოსილი პირის მიერ ცვლილების განხორციელება ან/და კიბერ თავდასხმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება გათვალისწინებულია წინამდებარე მომსახურების წესებითა და პირობებით.

3.5. მომხმარებელი ადასტურებს და აცხადებს თანახმობას, მასზედ რომ ის გამოიყენებს „trivo”-ს სერვისებს მხოლოდ მის ან/და მასთან აფილირებულ ბიზნესთან დაკავშირებულ საქმიანობის განსახორციელებლად.

3.6. მომხმარებელი ადასტურებს და აცხადებს თანახმობას, მასზედ რომ მიღებულ სერვისს (რეპორტს) დატოვებს უცვლელად და არ შეეცდება მასში ასახული ინფორმაციის ჩასწორებას/მოდიფიცირებას/გადაკეთებას.

4. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

4.1. კომპანია - „trivo” უფლებამოსილია:

4.1.1. ცალმხრივად დაადგინოს მომხმარებლისთვის სერვისის მიწოდების წესი;

4.1.2. საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად შეწყვიტოს სერვისის მიწოდება, თუ მომხმარებელი:

4.1.2.1. ვებ-გვერდზე ვიზიტსისას და გამოყენებისას ან სერვისის მიღების პროცესში მოქმედებს არამართლზომიერად ან/და საქართველოს კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ;

4.1.2.2. მოქმედებს წინამდებარე წესებითა და პირობებით დადგენილი დებულებების საწინააღმდეგოდ ან/და თაღლითურად.

4.1.2.3. დაარღვევს წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის გადახდის წესს.

4.1.2.4. ანგარიშზე წვდომას გადასცემს ნებისმიერ მესამე პირს.

4.1.3. ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე შეუზღუდოს მომხარებელს ვებ-გვერდზე და „trivo”-ს სერვისებზე წვდომა, მუდმივად ან ერთჯერადად იმ შემთხვევაში, თუ მომხარებელი დაარღვევს ერთ ან რამდენიმე ვალდებულებას ან განახორციელებს აკრძლულ ქმედებებს ან/და მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია აღმოჩნდება არასწორი ან გაყალბებული.

4.2. კომპანია - „trivo“ ვალდებულია:

4.2.1. მომხმარებლის მიერ სერვისი (პაკეტის) შეძენის - მომსახურების საფასურის გადახდის შემდეგ მომხმარებელს სრულად და ჯეროვნად მიაწოდოს წინამდებარე წესებისა და პირობებით გათვალისწინებული სერვისი.

4.2.2. დაიცვას საკუთარი მონაცემთა ბაზები ნებისმიერი კომპიუტერული ვირუსებისა და დამაზიანელი პროგრამებისგან, რათა არ მოხდეს მონაცემთა არამართლზომიერი გადინება.

4.3. მომხმარებელი უფლებამოსილია:

4.3.1. მოსთხოვოს „trivo“-ს წინამდებარე წესებითა და პირობებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება;

4.4. მომხმარებელი ვალდებულია:

4.4.1. სერვისის მიღების მიზნით ვებ-გვერდზე ინფორმაციის შეყვანისას „trivo“-ს წარუდგინოს სრული, სწორი და ნამდვილი პერსონალური ინფორმაცია;

4.4.2. პაკეტის შეძენისას გადაიხადოს ,,trivo’’-ს მიერ დაწესებული მომსახურების საფასურ წინამდებარე წესებითა და პირობებით, ასევე, ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად.

4.4.3. დაიცვას წინამდებარე წესებისა და პირობებით გათვალისწინებული ყველა დებულება.

4.4.4. აუნაზღაუროს „trivo“-ს ნებისმიერი სახის ზიანი, რომელიც მიადგა „trivo”-ს მომხმარებლის ქმედებითა თუ უმოქმედობით, განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, მათ შორის და არა მხოლოდ წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებული პირობების მომხმარებლის მიერ დარღვევით.

4.4.5. მკაცრად დაიცვას პირადი ანგარიშის უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა, არ გაუმჟღავნოს ნებისმიერ მესამე პირს მომხმარებლის პირადი გვერდის უსაფრთხოების ანგარიშები, რათა დაცული იყოს მომხმარებლის პირად ანგარიშზე არსებული აქტივი და ინფორმაცია;

5. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

5.1. მხარეები აცხადებენ და აგრანტიას იძლევიან, რომ:

5.1.1. წარმოადგენენ უფლებაუნარიან პირებს, რომლებსაც სერვისის გაცემისა და მიღების მიზნით მოპოვებული აქვთ ყველა საჭირო თანხმობა, ნებართვა ან/და მინდობილობა (ასეთის საჭიროების შეთხვევაში);

5.1.2. გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება, იკისრონ წინამდებარე წესებითა და პირობებით გათვალისწინებული ვალდებულებებ;

5.1.3. მათ მიერ წინამდებარე წესებისა და პირობების დათანხმება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, საერთაშორისო ნორმებთან, მხარის გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან.

5.2. მომხმარებელი აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

5.2.1. მის მიერ წარმოდგენილი პერსონალური თუ სხვა ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის უტყუარი და ზუსტი, ხოლო მინდობილობა ან/და სხვა სახის დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს სრულ და მოქმედ რედაქციას;

5.2.2. აცნობიერებს და ეთანხმება, რომ სრულად არის პასუხისმგებელი ,,trivo’’–სთვის მიწოდებულ პერსონალურ ინფორმაციაზე, გაზიარებული RS-ის ანგარიშის სისწორესა და სისრულეზე, შედეგად არასწორად მიწოდებული ინფრომაციის შედეგად „trivo”-ს მიერ არასრულად/არასწორად/არაზუსტად დაგენერირებული რეპორტით გამოწვეულ ნებისმიერი სახის ზიანზე.

5.2.3. აცნობიერებს და ეთანხმება, რომ „trivo” არის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მომხმარებელს ეხმარება საგადასახადო რისკების იდენტიფიცირებაში, შეფასებასა და აღმოფხვრაში, ამასთან, ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება არის სწრაფად განვითარებადი სფერო და თავის მხრივ „trivo” მუდმივად მუშაობს სერვისების გასაუმჯობესებაზე, რათა მიწოდებული სერვისი გახდეს უფრო ზუსტი, საიმედო, უსაფრთხო და ღირებული, თუმცა მეორე მხრივ ხელოვნური ინეტელექტის და მანქანური სწავლის ალბათობითი ბუნების გათვალისწინებით, მომხმარებლისთვის „tviro”-ს მიერ გენერირებული რეპორტი/პასუხი შეიძლება არ იყოს სრულად შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობასთან, შესაბამისად, მომხმარებელმა თავად უნდა შეაფასოს თითოეული მიღებული სერვისის სიზუსტე, მათ შორის, საგადასახადო ექსპერტთან გადამოწმების გზით.

5.2.4. აცნობიერებს და თანხმაა მასზედ, რომ „trivo”-მ შეიძლება გამოიყენოს მომხმარებლის მიერ დასმული შეკითხვები და „trivo”-ს მიერ დაგენერირებული პასუხები სერვისების განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის.

5.2.5. აცნობიერებს და უპირობოდ თანხმაა მასზედ, რომ აანაზღურებს ყველა და ნებისმიერი სახის ზიანს/ზარალს, დანაკარგს, ხარჯს, რომელიც შეიძლება მიადგეს „trivo“-ს (კომპანიას) მომხმარებლის მიერ „trivo”-ს სერვისის არაკეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში.

5.2.6. წინამდებარე წესები და პირობებს გაეცნო, ელექტრონულად დადასტურა და მისთვის წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო დოკუმენტს;

6. მომსახურების საფასური და მისი გადახდის წესი

6.1. მომსახურების საფასური ოდენობა დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ შერჩეულ მისთვის სასრუველ პაკეტზე, კერძოდ, მომხმარებლის მიერ მისთვის სასურველი პაკეტის შერჩევისა და შესაბამისი ინფორმაციის შეყვანის შემდეგ მომხმარებელს უგენერირდება შესაბამისი მომსახურების საფასური.

6.2. დაგენერერიებული მომსახურების საფასური და დაკავშირებული ინფორმაცია მომხმარებელს ინვოისის სახით ეგაზვნება მის მიერ მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე. ინვოისში მითითებულია მომხმარებლის მიერ შერჩეული პაკეტი, პაკეტით/სერვისით სარგებლობის საფასური - მომსახურების საფასური, მომსახურების საფასურის გადახდის წესი და პირობები.

6.3. მომსახურების საფასურის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, კერძოდ ინვოისში მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით.

7. ინტელექტუალური საკუთრება

7.1. პროგრამული უზრუნველყოფა „trivo" და ვებ-გვერდებთან დაკავშირებული ინტელექტუალური საკუთრება ეკუთვნის კომპანიას. მხარეთათვის ცნობილია, რომ ვებ-გვერდი წარმოადგენს კომპანიის ექსკლუზიურ ინტელექტუალურ საკუთრებას და იგი დაცულია საავტორო უფლებებით. მათ შორის, ვებ-გვერდზე გამოყენებული სავაჭრო ნიშნები ეკუთვნის კომპანიას და ვრცელდება „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნიშნის მესაკუთრის უფლებები. ვებ-გვერდზე გამოყენებული ნებისმიერი შინაარსის ტექსტი, კონტენტი, ლოგიტიპები და სხვა ინტელექტუალური შრომის შედეგად შექმნილი მასალა წარმოადგენს კომპანიის ექსკლუზიურ საკუთრებას.

7.2. მომხმარებელს არ აქვს უფლება განახორციელოს რეპროდუქცია, გადაკეთება, გადაცემა, „trivo"-ს ლოგოს, მისი შრიფტის ან ვებ–გვერზე არსებული ინფორმაციის გავრცელება/უნებართვო გამოყენება, ან/და ნებისმიერი მასალის სხვაგვარად კომერციულად დამუშავება, რომელიც არის ინტელექტუალური საკუთრების საგანი.

7.3. ვებ-გვერდზე რეგისტრირებული პირი პატივს სცემს კომპანიის საავტორო უფლებებს, შესაბამისად იძლევა გარანტიას, რომ რაიმე ფორმით არ შელახავს კომპანიის ინტელექტურალური საკუთრების უფლებას.

8. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები და კონფიდენციულური ინფორმაცია,

8.1. წინამდებარე წესებზე და პირობებზე თანხმობით მომხმარებელი გამოხატავს თანხმობას პერსონალური მონაცემების კომპანიის მიერ დამუშავებაზე საქართველოს კონსტიტუციითა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ და მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგლამენტით (General Data Protection Regulation; GDPR) განსაზღვრულ ფარგლებში. გარდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობისა, მომხმარებლის მიერ თანხმობის ღილაკის მონიშვნა ნიშნავს, რომ იგი თანხმობას აცხადებს, რომ „trivo" უფლებამოსილია შეინახოს კლიენტის ნებისმიერი სახის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა სერვისის გაწევისას და წინამდებარე წესებისა და პირობების მოქმედების ფარგლებში და ,,trivo'' მათ დაამუშავებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

8.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანს წარმოადგენს ამ წესებითა და პირობებით განსაზღვრული სერვისის სრულყოფილად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფა.

8.3. დეტალური ინფორმაცია მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშევებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით მოცემულია წინამდებარე წესებისა და პირობების შემადგენელ დამატებით დოკუმენტში: **„პერსონალური მონაცმებისა და კონფიდენციუალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა"**. ზემოხსენებული დოკუმენტი განიხილება, როგორც წინამდებარე წესებისა და პირობების განუყოფელი ნაწილი და მოქმედებს მასთან ერთად.

8.4. თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას მკაცრად დაიცვას მეორე მხარისაგან მიღებული ფინანსური, კომერციული და სხვა სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა. ასეთი ინფორმაციის გადაცემა მესამე პირებისთვის შეიძლება მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და ამ მუხლის სხვა პუნქტებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

8.5. ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მხარეების კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება ან/და გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მეორე მხარის წერილობითი თანხმობის ან/და საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები ვალდებულნი არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ წესებისა და პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, გარდა წინამდებარე წესებისა და პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხავი დებულებებისა.

9.2. მომხმარებელი აცნობიერებს, რომ რეპორტი/პასუხები/შედეგები გენერირებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ, შესაბამისად მომხარებელს ეკისრება რისკი და პასუხისმგებლობა „trivo"-ს გამოყენებაზე და "trivo" არის მხოლოდ საინფორმაციო, დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფა და არ ცვლის პროფესიონალ მრჩეველს.

9.3. თუ მომხმარებელი დაარღვევს წინამდებარე წესებითა პირობით გათვალისწინებულ trivo"-ს სერვისისა და ვებ-გვერდის გამოყენების პირობებს ან/და ვალდებულებებს, დაეკისრება ჯარიმა _____.00 (სიტყვიერად) ლარის ოდენობით.

9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანია თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო მომხმარებლის მიერ არასწორი, არასრული ან/და არადროული ინფორმაციის მიწოდებისგან.

10. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ მათი მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია მათთვის დაუძლეველი ძალის („ფორს მაჟორი") მოქმედების შედეგად.

10.2. წინამდებარე წესებისა და პირობების' მიზნებისთვის დაუძლეველ ძალას წარმოადგენს მიწისძვრა, სტიქიური უბედურებები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, მასობრივი კიბერშეტევა;

10.3. მხარე ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები თუ „ფორს მაჟორი" არ ახდენს გავლენას მათ სრულ და ჯეროვან შესრულებაზე.

10.4. მხარეები თანხმდებიან, რომ „ალტერა" თავისუფლდება ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, თუ კლიენტი არ განახორციელებს ან დაარღვევს წინამდებარე წესებისა და პირობებით გათვალისწინებულ ნებისმიერი სახის ვალდებულებას.

10.5. „trivo"-ს მიმართ პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, „trivo"-ს პასუხისმგებლობა არ შეიძლება აღემატებოდეს კლიენტის მიერ კონკრეტულ სერვისში გადახდილ თანხას.

10.6. „trivo" არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი პირდაპირ ან არაირდაპირ ზიანზე, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მიუღებელი სარგებლიდან ან/და შემოსავლიდან.

10.7. კლიენტის მიერ „trivo"-ს ვებ გვერდზე რეგისტრაციის არ გავლამ შესაძლოა გამოიწვიოს პროდუქტის ან მისი ნაწილის მიღების შეუძლებლობა, რა შემთხვევაშიც „trivo" თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.

11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1. წინამდებარე ,,პროდუქტის მოხმარების წესებისა და პირობების'' საფუძველზე მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავის გადაწყვეტა წარმოებს მოლაპარაკების გზით, ურთიერთშეთანხმების მიღწევის მიზნით.

11.2. ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს თბილისის საქალაქო სასამართლო.

12. მხარეთა კომუნიკაცია

12.1. კომუნიკაცია მხარეთა შორის ხორციელდება წერილობითი (მათ შორის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით) ფორმით.

13. პირობების ცვლილებები

13.1 „trivo" უფლებამოსილია ერთპიროვნულად, ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს ან/და დაამატოს სერვისის გაწევის სტანდარტული პირობები, მისი ნებისმიერი დანართი, მათ შორის ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქტი ან/და ღირებულება, რეგისტრაციის წესის პირობები და სხვ.

13.2. ზემოაღნიშნული ცვლილების ან/და დამატების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი გახდება ცვლილებების ან/და დამატებების შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებით.
13.3 „trivo"-მ შესაძლოა მომხმარებელს გაუგზავნოს ცვლილებები მისთვის ცნობილ ელექტრონულ მისამართზე.
16.4 ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება ძალაშია ვებ-გვერდზე „trivo"-ს მიერ მისი განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღეს.

14. დასკვნითი დებულებები

14.1 მომხმარებელი ადასტურებს, რომ წინამდებარე წესებისა და პირობების დადასტურებისას ის მოქმედებს გონივრული განსჯის შედეგად, წინასწარ გაეცნო წესებსა და პირობებს, სრულად ესმით პირობების შინაარსი და ისინი სათანადოდ იქნა შესწავლილი მის მიერ.
14.2 თითოეული მხარე (ა) უფლებამისილია ისარგებლოს ,,პროდუქტის მოხმარების წესებითა და პირობებით'' განსაზღვრული უფლებ(ებ)ით და (ბ) ვალდებულია შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ი.
14.3 წინამდებარე წესებისა და პირობების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას, ბათილი/ძალადაკარგული მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის, ქვეპუნქტ(ებ)ის ნაცვლად მოქმედებს ის მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი, რომლ(ებ)ითაც ადვილად მიიღწევა პროდუქტის მოხმარების მიზანი.
14.4 ერთ-ერთი მხარის მიერ წინამდებარე წესებისა და პირობების ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარის მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.
14.5. ამ წესებითა და პირობებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის შესრულების ადგილას მიიჩნევა - საქართველო, თბილისი.
14.6. წინამდებარე წესებითა და პირობებით განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
14.7. წინამდებარე წესები და პირობები შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული ან/და წერილობითი სახით.